თბილისის "დინამო"– ლიდერი

ლენინგრადი (ჩვენი კორ.) 8 მაისს კიროვის სახელობის სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ "ზენიტისა" და თბილისის "დინამოს" ოსტატთა გუნდები.

თამაშმა თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. ერთ–ერთი მძაფრი მომენტი ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანთა კარგად გამოიყენეს თბილისელებმა და ანგარიში გახსნეს.

პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0.

შესვენების შემდეგ გუნდებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით – 2:1.

ამრიგად, 7 თამაშის შემდეგ თბილისის "დინამო" მტკიცედ ჩაუდგა თავში გათამაშების ცხრილს. მას აქვს 11 ქულა.

"ლელო", 11 მაისი 1951 წ.